განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ლანდშაფტური არქიტექტურის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი 20 თებერვალი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი 27.02.219

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ლანდშაფტური არქიტექტურა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი 110103
სწავლების ენა	ქართული
კრედიტებისრაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	რეაკრედიტაცია: აკრედიტაციის №121 19.04.2012 წ. ავტორიზაციის №62 07.09.2018 წ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა იაშვილი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ხიმშიაშვილი, ლანდშაფტის ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში. უნივერსიტეტი ცხრა ფაკულტეტს აერთიანებს; მათ შორის არის აგრარული ფაკულტეტი, რომელიც შეიქმნა 2010 წელს იანვარში რეორგანიზებულ უნივერსიტეტში არსებული "სუბტროპიკული მეურნეობისა და ლანდშაფტური არქიტექტურის" ფაკულტეტისა და "სუბტროპიკული კულტურების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის"– ფაკულტეტის შეერთების შედეგად. რთული და ტკივილიანი ისტორია აქვს აგრარული ფაკულტეტის „ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის" დეპარტამენტს, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავს-ლანდშაფტური არქიტექტურა და ტურიზმი და 2015 წლის შემოდგომიდან ამ ფორმით ფუნქციონირებს დღესაც.

აგრარული ფაკულტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის და პროფესიული განათლების რამდენიმე პროგრამას, კომპეტენციის ფარგლებში თანამშრომლობს ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციასთან, თუ კერძო სექტორთან და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნით უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას. ფაკულტეტის მისია შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. პროგრამები შემუშავებულია აგრარული, საინჟინრო, ტექნოლოგიური და ტურიზმის პროფილის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის. ფაკულტეტი ეფუძნება რა უნივერსიტეტის ტრადიციებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს,ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები.

აგრარული ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის აკადემიური და პროფესიული განათლების პროგრამებს 5 დეპარტამენტის ბაზაზე:

1.აგრონომიულ მეცნიერებათა

2. სუბტროპიკული კულტურების

3. აგროინჟინერიის

4. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის

5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის

ფაკულტეტეზე მოქმედებს 5 საბაკალავრო, 7 სამაგისტრო, 3 სადოქტორო და 3 პროფესიული პროგრამა.

საბაკალავრო პროგრამები დაკომპლექტებულია ფაკულტეტის სტუდენტთა კონტიგენტის ძირითადი ბირთვით, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტი გაცილებით მცირეა. ფაკულტეტზე სწავლობს სულ: 626 სტუდენტი, მათ შორის:

ბაკალავრიატში: 564 სტუდენტ,მათ შორის დაფინანსებული: 427 სტუდენტი. მაგისტრატურაში: 21 სტუდენტი, დოქტორანტურაში 20 სტუდენტი. პროფესიული: 21 ;
სამაგისტრო და სადოტორო პროგრამების სტუდენტები ფინანსდება ნაწილობრივ ან სრულად
მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით.
ფაკულტეტი აცნობიერებს უნივერსიტეტისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობას და თავის საქმიანობით ცდილობს წვლილი შეიტანოს უნივერსიტეტის, ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.
„ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის“ დეპარტამენტში ხორციელდება სტუდენტთა მომზადება პროფესიულ, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. დეპარტამენტის მიზანია, ვკითხულობთ ვებგვერდზე, სტუდენტებს მისცეს ცოდნა როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის, ასევე ტურიზმის მიმართულებით, თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის, მატერიალური კულტურის ისტორიული და ტრადიციული მიმდინარეობების დაგეგმარების შესახებ. „ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის“ დეპარტამენტი ახორციელებს “ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამას, რომელიც დღეისათვის არის ჩვენი აკრედიტაციის საგანი. პროგრამას ემსახურება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, კერძოდ: 1 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი, 3 მასწავლებელი. დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩაბმული სამეცნიერო–კვლევით სამუშაოებში, მოპოვებული აქვთ საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო გრანტები. აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში, დეპარტამენტში ხორციელდება შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო პროგრამები:

1. აგროინჟინერია;
2. აგრონომია;
3. ტურიზმი:
4. აგრონედლეულის კვების პროდუქტების თექნოლოგია და ექსპერტიზა;

სამაგისტრო პროგრამები:

1. აგროეკოლოგია:
2. ლანდშაფტური არქიტექტურა:
3. ტურიზმი

სადოქტორო პროგრამა:

1. აგრონომია

უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის ლანდშაფტის არქიტექტურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 2012 წლიდან ხორციელდება, ამჯერად პროგრამა განმეორებით აკრედიტაციას გადის. თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამის მიზანია აღზარდოს მაღალკვალიფიციური კადრები; ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც უნარი შესწევს შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე განსაზღვროს ეროვნულ და რეგიონალურ ეკონომიკაში საკუთარი მონაწილეობის პერსპექტივა.

„ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA“ შესაბამისად.
პროგრამის მოცულობაა 120 კრედიტი (3000 სთ), რომელიც მოიცავს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 110 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი) და არჩევით კურსების - 10კრედიტი.
პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების №125 12.02.2019 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის შესახებ) საფუძველზე 2019 წლის 20 თებერვალს; 18 თებერვალს შედგა ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა ინტერვიურების პროცესში.
დღის წესრიგის თანახმად, თავდაპირველად, განრიგის შესაბამისად, დილის 10 საათზე ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, კერძოდ, უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერს, დეკანს. შემდეგ უნივერსიტეტის ახალ ბიბლიოთეკას ვეწვიეთ, რომლის მშენებლობაც დასრულდა გასული წლის გაზაფხულზე. იგი ამჟამად წიგნადი ფონდით ერთ-ერთი უმდიდრესია საქართველოს ბიბლიოთეკებს შორის. თანამედროვე ტექნოლოგიებით და ინვენტარით აღჭურვილი ბიბლიოთეკის შიდა და გარე სივრცე, ერთობ საინტერესო და სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის მომხმარებელთათვის, საჭირო ავეჯი და ტექნიკა, ასევე, საკონფერენციო დარბაზები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ოთახები; წიგნადი ფონდის საცავი, სადაც მილიონამდე წიგნია განთავსებული. ბიბლიოთეკაში მოქმედებს ფაბლაბი, სტუდენტური სერვისები, დიუმას და გოეთეს საბიბლიოთეკო სივრცეები და სხვა, ეს ყველაფერი ღიაა, როგორც სასწავლებლის სტუდენტებისთვის ასევე სხვებისთვისაც. წვდომა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე შესაძლებელია უნივერსიტეტის ყველა კორპუსიდან. მოქნილი და ულტრათანამედროვე მენეჯმენტი გამორჩეულად ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ვიზიტორზე და ამყარებს მოსაზრებას, რომ დანარჩენი ობიექტებიც (სამუზეუმო სივრცე, ლაბორატორიები და კამპუსი) სამომავლოდ ასეთივე შთამბეჭდავი იქნება.
შემდეგ ვიზიტი გაგრძელდა აგრარული ფაკულტეტის შენობაში, მე-11 კორპუსში, რომელიც პარლამენტის შენობის მეზობლად მდებარეობს. გავესაუბრეთ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს და პოტენციურ დამსაქმებლებს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, კონსტრუქციულ გარემოში; ჩატარდა შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით დაგეგმილი ყველა შეხვედრა, ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა ბიბლიოთეკაში

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები, რაც ადექვატურად იქნა აღქმული უნივერსიტეტის და უშუალოდ, პროგრამის განმახორციელებლების მიერ.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობებზე. ექსპერტთა გადაწყვეტილებით და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად პირველი სტანდარტი **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.** მეორე სტანდარტი **მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან, რადგან აღნიშნული სტანდარტის 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.2 მეტწილად შესაბამისობაშია 2.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,, 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 2.5 მეტწილად შესაბამისობაშია და 2.6 კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
3.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან და 3.2 შესაბამისობაშია, ამდენად, მესამე **სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**
მე-4 სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ვინაიდან 4.1 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, 4.2 და 4.3 კომპონენტები **მეტწილად შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან, ხოლო 4.4 კომპონენტი **შესაბამისობაშია** მოთხოვნებთან. 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამდენად, **მე-5 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

რეკომენდაციები

- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა პლაგიატის მიმართულებით; სილაბუსი „სამეცნიერო წერა“- ს ფარგლებში და დარწმუნდეს სტუდენტების ცოდნაში, რაც შეეხება პლაგიატს და მისი აღმოფხვრის მექანიზმებს.
- უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე საერთაშორისო დონის კონფერენციებში და ხელი შეუწყოს მათ ინტერნაციონალიზაციას.
- რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები - ლანდშაფტის არქიტექტორი ან არქიტექტორი, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობას.
- გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საჭიროებები (ტრენინგები, ენის კურსები, გაცვლითი

საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები და სხვა), რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და პროგრამის განვითარებას.

- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სფეროს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა, საჭიროა შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია გამრავალფეროვნდეს აღნიშნული დარგის სასწავლო კურსების შინაარსი და თანამედროვე ტერმინოლოგია.
- შემუშავდეს და კურიკულუმს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტურის ტენდენციების კუთხით.
- არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათ მიმართებას.
- სასურველია, ლანდშაფტური არქიტექტურის სასწავლო კურსისთვის დეტალურად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და ვიზუალური პრეზენტაცია.
- სასურველია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არქიტექტურულ -სივრცითი შემოქმედებითი უნარების შემოწმების ან გამოვლენის მიზნით დაწესდეს გამოცდის (შიდა ტური) ან/და პორტფოლიოს წარდგენა.
- სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით და ამ მიზნით შემუშავდეს ეფექტური აქტივობები.
- სასურველია გაცვლითი პრაქტიკა უნივერსიტეტის პარტნიორ უცხოურ სასწავლებლებთან.
- სასურველია ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყოფილია აგრარული ფაკულტეტისთვის განახლდეს/გარემონტდეს (ფინანსების არსებობის შემთხვევაში),
- სასურველია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვითგამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას, რაც უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- სილაბუსი „სამეცნიერო წერა“.
- ATSUNEWS - ინფორმაციის მიღების მობილური აპლიკაცია.
- ინფორმაციის გაცვლის Smart Touch Screen მონიტორები რომელიც ამარტივებს შიდა „განცხადებების ელექტრონულად მოძრაობის ორგანიზების“ სისტემას,

დოკუმენტების მიბმას სკანირებით, ბიბლიოთეკასთან კავშირს და მრავალ სხვას.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სამაგისტრო პროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ ხორციელდება 2012 წლიდან (აკრედიტაციის თარიღი №121, 19.04.2012 წ.). აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარდგენილი დადებითი დასკვნისას გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები:

- პროგრამის მოტივაციიდან გამომდინარე პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდეს ცვლილება, კერძოდ, საგანი - „მეყვავილეობა და ინტერიერის დიზაინი“ ძირითადი საგნის სტატუსიდან გადატანილ იქნას არჩევითი დისციპლინების ჩამონათვალში, ხოლო არჩევითის სტატუსის საგანი „არქიტექტურული გრაფიკა“ გადატანილი იქნას ძირითადი საგნების ნუსხაში;
- მიზანშეწონილია კომპეტენციების რუქაში (და შესაბამისად სასწავლო კურსების სილაბუსებში) გამოიკვეთოს მხოლოდ ის ძირითადი კომპეტენციების, რომლის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსი;
- სასწავლო კურსის სახელწოდება „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ შეიცვალოს სახელწოდებით - „პედაგოგიკა“;
- სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მატერიალურტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება.

თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, (ინტერვიუზეც დადასტურდა) აკრედიტაციის პერიოდიდან დღემდე პროგრამაში განხორციელდა მრავალი ცვლილება:

- სასწავლო კურსს "უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა" შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „პედაგოგიკა"; კურსი „არქიტექტურული გრაფიკა” არჩევითიდან გადმოტანილ იქნა ძირითადში, კურსი „მეყვავილეობა და ინტერიერების დიზაინი” ძირითადიდან გადმოტანილ იქნა არჩევითში, ,,სამაგისტრო ნაშრომი–1", ,,სამაგისტრო ნაშრომი–2" და ,,სამაგისტრო ნაშრომი – 3" (30 კრედიტი) შეიცვალა კურსით „სამაგისტრო ნაშრომი" (30 კრედიტი) და გადატანილ იქნა მეოთხე სემესტრში, შესაბამისად გასწორდა პროგრამის სტრუქტურა;
- გადამოწმებულ და დახვეწილ იქნა კურსების შესწავლის წინაპირობები; ყველა კურსში დაიხვეწა სწავლებისა და სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები. კურსის „ქალაქთმშენებლობა“ საკითხები (სპეციალობის ათვისებისათვის საჭირო მოცულობით) შეტანილ იქნა კურსში „ლანდშაფტური არქიტექტურა”, ხოლო გამონთავისუფლებული კრედიტების ხარჯზე დაემატა კურსი „კვლევითი მუშაობის მეთოდები ლანდშაფტურ არქიტექტურაში”.
- შეიცვალა განმახორციელებელი პერსონალის სტატუსი, რადგან ორი მოწვეული პედაგოგი არჩეულ იქნა აწსუ-ის ასოცირებულ პროფესორად.
- სასწავლო კურსების სილაბუსებში შეტანილი იქნა აკადემიური პერსონალის მიერ მიმდინარე წელს გამოშვებული ლიტერატურა. კურსის სილაბუსში „ლანდშაფტური არქიტექტურა“ შეტანილი იქნა აკადემიური პერსონალის მიერ მიმდინარე წელს გამოცემული ლიტერატურა, განახლებულ იქნა აკადემიური პერსონალის CV-ები.

- შეფასების თითოეული ფორმისათვის განისაზღვრა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარმა ჯამურად შეადგინა არანაკლებ 11 ქულა; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრა 15 ქულით.
- შეფასება გახდა ერთჯერადი (დასკვნითი შეფასებით), 100 ქულიანი სისტემით. აწსუ-ს ბრძანების № 01-04/7 „სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სამაგისტრო ნაშრომის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო -კვლევითი კომპონენტების შეფასების განსაზღვრის შესახებ“ თანახმად სააუდიტორიო მუშაობა გახდა 15 კვირიანი. შესაბამისად, სასწავლო კურსების სააუდიტორიო მუშაობის საათები განაწილებულ იქნა წარმოდგენილი მიდგომის დაცვით.
- სააკრედიტაციოდ პროცესში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები: პროგრამიდან ამოღებულ იქნა სასწავლო კურსი „ფილოსოფია“, რადგანაც ჩაითვალა, რომ მისი კომპეტენციები არც ისე მნიშვნელოვანი იყო პროგრამით გათვალისწინებული შედეგის მისაღწევად, ხოლო მის ნაცვლად დაემატა კურსი „სამეცნიერო წერა“ (5 კრედიტი, I სემესტრი);
- სასწავლო კურსი „პედაგოგიკა“ II სემესტრიდან გადატანილ იქნა III-ში, ხოლო კურსი „მეტყევეობა“ III სემესტრიდან II -ში;
- კურსები „დენდროლოგია 1“ (5 კრედიტი, I სემესტრში) და „დენდროლოგია 2“ (5 კრედიტი, II სემესტრში) გაერთიანდა ერთ კურსში „დეკორატიული მერქნიანი მცენარეები“ (10 კრედიტი) და ისწავლება I სემესტრში,
- კურსი „ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი“ III სემესტრიდან გადატანილ იქნა I სემესტრში, რითაც უფრო დაიხვეწა კურსების წინაპირობების თანმიმდევრობა; კურსი „პროფესიული პრაქტიკა ლანდშაფტურ არქიტექტურაში“ II სემესტრიდან გადატანილ იქნა III სემესტრში, რაც საშუალებას იძლევა მეტად მომზადებული მივიდეს სტუდენტი პროფესიულ პრაქტიკაზე;
- სასწავლო კურსები „ზონალური ნიადაგთმცოდნეობა“ და „მწვანე მშენებლობის მენეჯმენტი“ ძირითადიდან გადატანილ იქნა არჩევით კურსებში (შესაბამისად II და III სემესტრში), ხოლო არჩევითი კურსიდან ძირითადში გადმოტანილ იქნა სასწავლო კურსი „საქართველოს დაცული ტერიტორიები და ბაღ-პარკები“ (III სემესტრი);
- არჩევითი კურსი „მეყვავილეობა და ინტერიერის დიზაინი“ შეიცვალა კურსით „ინტერიერის დიზაინი“; არჩევით კურსებს დაემატა კურსი „დეკორატიული ბალახოვანი მცენარეები“ (5 კრედიტი, III სემესტრი) და „გაზონთმცოდნეობა“ (5 კრედიტი, III სემესტრი).

ცვლილების მიზანი იყო პროგრამის განვითარება, დახვეწა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა. ცვლილების შედეგად გაუმჯობესდება სწავლის შედეგების მიღწევა. ცვლილების მიზანი იყო პროგრამის კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, სწავლების პროცესის სრულყოფა, ცვლილების შედეგად სწავლის შედეგი არ შეცვლილა, შეიცვალა აკადემიური პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და გაიზარდა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური ხარისხიანობა, კურსების სწავლებისა და სწავლის პროცესის სრულყოფა

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის „ლანდშაფტის არქიტექტურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ლანდშაფტის არქიტექტურისა და ტურიზმის დეპარტამენტი) თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროგრამის მიზანია აღზარდოს მაღალკვალიფიციური კადრები; ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მრავალმხრივი და საფუძვლიანი ცოდნით, პრაქტიკული უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც უნარი შესწევს შეძენილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შეფასებისა და გაანალიზების საფუძველზე განსაზღვროს ეროვნულ და რეგიონალურ ეკონომიკაში საკუთარი მონაწილეობის პერსპექტივა. მაგისტრანტი, რომელიც ღრმა თეორიული ცოდნის საფუძველზე დაეუფლება: საქართველოს ტყეების და დასახლებული სხვადასხვა ტერიტორიების მცენარეული საფარის კვლევის მეცნიერულ საფუძვლებს, ლანდშაფტების დაგეგმარებისა და პროექტირების, ბაღ-პარკების მშენებლობისა და ექსპლუატაციის თანამედროვე მეთოდებს; ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების დაცვის, განახლების და კეთილმოწყობის ღონისძიებების შემუშავებას; თანამედროვე ურბანიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში აქტუალურ ადამიანისათვის ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტულ სასიცოცხლო პირობებს, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ლანდშაფტების სწორ ორგანიზაციას და გამწვანება-კეთილმოწყობის საკითხებს. მნიშვნელოვანია კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე არსებული პრობლემური საკითხების სათანადო დამუშავება, რისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დარგში მსოფლიო გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებენ არსებული პრობლემური საკითხების დასმას და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას. პროგრამის მიზანი განისაზღვრა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევის საფუძველზე, რომელთა შესწავლა განხორციელდა დამსაქმებელთა გამოკითხვებითა და უშუალო გასაუბრების გზით. გარდა აღნიშნულისა გათვალისწინებული იქნა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის გამოცდილება. პროგრამის მიზანს და მთლიანად პროგრამას იცნობენ და თანამონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში ჩართული

დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • უსდ მისია • უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა • ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების (სპეციალობის ძირითადი კურსები - 80 კრედიტი, არჩევითი კურსები - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30კრედიტი) ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის შესაბამისად. ამასთან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო კურსებს შორის არსებული ლოგიკური კავშირით და კომპეტენციების გამომუშავებით. პროგრამის სწავლის შედეგებია: ცოდნა და გაცნობიერება-კურსდამთავრებულებს ეცოდინებათ საქართველოს ტყეებში, ბაღ–პარკებში გავრცელებული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ძირითადი ასორტიმენტი, მწვანე მშენებლობაში გამოსაყენებელი ზოგიერთი სასოფლო–სამეურნეო კულტურა, მათი ბიო–მორფოლოგია, სისტემატიკა, დეკორატიული ნიშან–თვისებები, სარგავი მასალის მიღების წესები, აგროტექნიკა, ბაღ–პარკების და ინტერიერების გაფორმების პროცესში მათი გამოყენების ფორმები, მცენარეების არსებული მდგომარეობის მეცნიერული კვლევის და შეფასების მეთოდები; ლანდშაფტური ხელოვნების არსი, ლანდშაფტის დაგეგმარებისა და პროექტირების, სხვადასხვა

დანიშნულებისა და სტილის ობიექტების გამწვანების პროექტების შექმნის, მათი რეალური განხორციელების წესები და მეთოდები, მწვანე მშენებლობის ობიექტების შექმნისა და მართვის თეორიული საფუძვლები; დასახლებული ტერიტორიების, ტყეების და დაცული ტერიტორიების ლანდშაფტურეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მეთოდები, გაცნობიერებული ექნებათ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობა გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საქმეში; ინფორმაციის მოპოვებისა და კრიტიკულად გააზრების, სამეცნიერო ნაშრომის წერისა და გაფორმების, პედაგოგიური სამუშაოების წარმართვის ძირითადი წესები და მეთოდები. მათ შეეძლებათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებადა ექნებათ დასკვნის უნარი, კომუნიკაციის უნარი, სწავლის უნარი, ღირებულებები. აღნიშნული სპეციალობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირების დასაქმება შესაძლებელია: ქალაქებისა და სხვა დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობის სამსახურებში, რომელთა კომპეტენციაშიც შედის არსებული გამწვანების ობიექტების მოვლა, რეკონსტრუქცია და ახლის გაშენება; ბოტანიკურ ბაღებში; სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებსა და უმაღლეს სკოლებში; ეკოლოგიურ სამსახურებში; სოფლის მეურნეობის სამინისტროში; საერთაშორისო ორგანიზაციებში; აღნიშნული პროფილის კერძო საწარმოებში. საგანმანათლებლო პროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ საშუალებას იძლევა კურსდამთავრებულმა გაიაზროს შემდგომში სწავლის გაგრძელების საჭიროება, საკუთარი ცოდნა შეაფასოს და მიიღოს გადაწყვეტილება სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და მის განვითარებას პირველ რიგში უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შედგენითა და პროგრამის განხილვით, სასწავლო პროცესის განხორციელებით. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ტარდება დაინტერესებული პირების გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მიხედვით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • სწავლის შედეგების რუკა; • შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; • პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; • დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი; • www. atsu.edu.ge
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის თანახმად "ლანდშაფტური არქიტექტურის" მაგისტრანტი შეიძლება გახდეს საბაღო–საპარკო მეურნეობის, აგრონომიის, ეკოლოგიის, არქიტექტურის, მშენებლის, მხატვრის და სხვა მონათესავე სპეციალობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც გადის წინასწარ რეგისტრაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში და აბარებს სამაგისტრო გამოცდას (ზოგადი უნარები) სამაგისტრო პროგრამაზე მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ: კერძოდ, სტუდენტი აბარებს გამოცდას სპეციალობაში. შეიძლება ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქის მიღება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. პროგრამის სპეციფიკა დიდწილად მისი პროფილითაა განპირობებული, პროგრამა ანიჭებს ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრის კვალიფიკაციას. აქედან გამომდინარე, **სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს მინიმალური არქიტექტურული-შემოქმედებითი უნარების შემოწმება გამოცდის ან პორტფოლიოს წარდგენის ფორმატში.**

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ცნობადობის და პოპულარიზაციის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფები, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ მთელი დასავლეთ საქართველოს რეგიონის რესურსცენტრებთან და წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით აწყობენ გასვლით საინფორმაციო შეხვედრებს აბიტურიენტებთან, აცნობენ მათ ინფორმაციას პროგრამების და მათზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აწსუ-ის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ (სამეცნიერო პიკნიკი) ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში „ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის“ დეპარტამენტი აქტიურად წარადგენს სტუდენტთა და თანამშრომელთა მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, აწყობს გამოფენებსა და ჩვენებებს, ავრცელებს საინფორმაციო მასალას, რაც ხელს უწყობს პროგრამის ცნობადობის ამაღლებას და დაინტერესებული აბიტურიენტების მოზიდვას პროგრამაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, არქიტექტურულ -სივრცითი შემოქმედებითი უნარების შემოწმების ან გამოვლენის მიზნით დაწესდეს გამოცდის (შიდა ტური) ან/და პორტფოლიოს წარდგენა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი **„ლანდშაფტური არქიტექტურის“** პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის- EP-QA“ შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამის „ლანდშაფტური არქიტექტურა“ მოცულობაა 120 კრედიტი (3000 სთ), რომელიც მოიცავს სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 110 კრედიტი (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი) და არჩევით კურსების - 10კრედიტი. სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი 18 კვირა, სასწავლო პროცესი 15 კვირა, შუალედური გამოცდა VIII კვირა – ფასდება 30 ქულით, აქტივობა XVI კვირა – ფასდება 30 ქულით და დასკვნითი გამოცდა XVII-XVIII კვირა – ფასდება 40 ქულით. მისანიჭებელი კვალიფიკაცია – „ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი“ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის კომპონენტები, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტებში უზრუნველყოფს აუცილებელი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას ლანდშაფტური არქიტექტურის და გარემოს გამწვანება-კეთილმოწყობის სფეროში. პროგრამის ამჟამინდელი კონფიგურაცია და მისანიჭებელი კვალიფიკაცია გულისხმობს, რომ კურსდამთავრებული არა მხოლოდ ლანდშაფტის არქიტექტორის სპეციალობას უნდა იყოს დაუფლებული, არამედ სათანადო დონეზე აცნობიერებდეს და ფლობდეს ლანდშაფტის არქიტექტორის მაგისტრის/სპეციალისტის მაღალ კომპენტენციას. ექსპერტთა აზრით პროგრამის კომპონენტები/საგნები-„დეკორატიული ბალახოვანი მცენარეები“ და “გაზონმცოდნეობა“ შეიძლება გაერთიანდეს ერთ საგანში - „ დენდროლოგია“; პროგრამას დაემატოს საგანი „ურბანული ტერიტორიის ლანდშაფტური კეთილმოწყობა’’, რომელიც გაიყვანს სტუდენტს ლანდშაფტური არქიტექტორის უნარ-ჩვევებზე. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსი „სამაგისტრო ნაშრომი“ კურიკულუმის შემაჯამებელი კომპონენტია, რომლითაც უნდა მოხდეს შეძენილი ცოდნისა და შემოქმედებითი/პრაქტიკული უნარების დემონსტრირება. ლანდშაფტის არქიტექტორის კვალიფიკაცია გულისხმობს, რომ კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს საკმაოდ ფართო თვალსაწიერი როგორც ურბანული არქიტექტურის ისტორიის, ასევე ლანდშაფტური არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციების თვალსაზრისით, ამის გათვალისწინებით სასურველია შემუშავდეს და სილაბუსებს დაემატოს თანამედროვე ტერმინოლოგია. სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია როგორც სასწავლო, ისე საველე პრაქტიკა, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა საწარმოსთან თუ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ასევე უნივერსიტეტს აქვს ბაზა 16 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას. ამდენად, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სამაგისტროპროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ ▪ თვითშეფასების ანგარიში ▪ სასწავლო კურსების სილაბუსები ▪ ინტერვიუ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ▪ ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
რეკომენდაციები: • რეკომენდირებულია საგნები „დეკორატიული ბალახოვანი მცენარეები“ და “გაზონმცოდნეობა“ გაერთიანდეს ერთ საგანში „ დენდროლოგია“; • რეკომენდებულია ლანდშაფური არქიტექტურის სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება და ამ მიმართულებით საჭიროა პროგრამა განვითარდეს არქიტექტურულ-მხატვრულ-პროექტირების კუთხით . • რეკომენდებულია სასწავლო კურსს დაემატოს ისეთი საკითხები როგორიცაა ურბანული ტერიტორიის ლანდშაფტური არქიტექტურის კეთილმოწყობა.
რჩევები პროგრამის განვითარეისთვის • სასურველია გამრავალფეროვნდეს აღნიშნული დარგის სასწავლო კურსების შინაარსი და თანამედროვე ტერმინოლოგია. • შემუშავდეს და კურიკულუმს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები თანამედროვე ლანდშაფტური არქიტექტურის ტენდენციების კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან
2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში მოცემული სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადად თეორიული ცოდნის შეძენაზე, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების მოცულობა ინდივიდუალურადაა განსაზღვრული, ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, მის თეორიულ თუ პრაქტიკულ ხასიათს. სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობა უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საუნივერსიტეტო დისციპლინები (დარგობრივი უცხო ენა, სამეცნიერო წერა, პედაგოგიკა) უზრუნველყოფენ სტუდენტთა ზოგად განათლებას. პროგრამით გათვალისწინებულია 5 (სულ 125 სთ, სააუდიტორიო 45 სთ) კრედიტიანი

სასწავლო კურსები, სამაგისტრო ნაშრომი კი 30 კრედიტი (სულ 750 სთ.)
სპეციალობის ძირითადი დისციპლინები პირობითად ოთხ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:
პირველ ჯგუფში გაერთიანებულია მცენარეთა და მათი სასიცოცხლო პირობების შემსწავლელი დისციპლინები: კურსი "დეკორატიული მერქნიანი მცენარეები" სტუდენტებს ასწავლის საქართველოს ბაღ-პარკებში გავრცელებული დეკორატიული მერქნიანი მცენარეების ძირითად ასორტიმენტს, მათ აგროტექნიკას და გამოყენების ფორმებს; კურსი „კვლევის მეთოდები ლანდშაფტურ არქიტექტურაში" სტუდენტებს აძლევს ცოდნას, რომელიც ძირითადად გამოადგებათ პროფესიული პრაქტიკასა და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში და გამოუმუშავებს ლანდშაფტების კვლევების წარმართვის კომპეტენციას და ა.შ.
კრედიტის მოცულობაში გათვალისწინებულია აუდიტორიული, საგამოცდო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილი საათები. ყველა სასწავლო კურსის აუდიტორიული დატვირთვის მოცულობა რეგულირდება შესაბამისი ნორმატივების მიხედვით. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, თუმცა, არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათ მიმართებას.
სასურველია, ლანდშაფტური არქიტექტურის სასწავლო კურსისთვის დეტალურად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და ვიზუალური პრეზენტაცია.
პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ასევე, ელექტრონული სახით. უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, უნივერსიტეტის პოლიტიკა სასწავლო რესურსით სტუდენტის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საკუთარი „რიდერების" შემუშავების თვალსაზრისით, კარგ პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს. 2011 წლიდან უნივეტსიტეტში ჩაართულია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ–კატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა ელექტრონულ ბაზებზე; საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული ხარისხი - "ლანდშაფტური არქიტეტქტურის მაგისტრი" შეესაბამება „კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ეხება სილაბუსებში სასწავლო კურსის მიზნების ადეკვატურად ფორმულირებას და პროგრამის სწავლის შედეგებთან მათ მიმართებას.
- სასურველია, ლანდშაფტური არქიტექტურის სასწავლო კურსისთვის დეტალურად გაიწეროს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და ვიზუალური პრეზენტაცია.
- შესაძლებელია წინასწარ გაზიარებული გრაფიკის შესაბამისად დაიგეგმოს აწსუს სტუდენტების მონაწილეობა ლანდშაფტის არქიტექტურის უცხოელი

სპეციალისტების მიერ აკადემიაში ჩატარებულ სხვადასხვა სახის აქტივობაში (საჯარო ლექცია, ვორქშოფი, მასტერკლასი, სტუდიური მუშაობა და სხვ.)
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან+ ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს კვლევით და შემოქმედებით კომპონენტს, რომელიც პროგრამის ძირითად ბადეში ფორმულირებულია, როგორც **სასწავლო კურსი „სამაგისტრო ნაშრომი“ (პროექტირების თემები).** თავისი შინაარსით ეს კომპონენტი პროგრამის დამასრულებელი ნაშრომია, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარებას და მათი პროგრესის დემონსტრირებას. ეს მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რათა შემოწმდეს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისას მიღებული კომპეტენციები და მათი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობები. კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება აგრეთვე სასწავლო კურსი **„კვლევითი მუშაობის მეთოდები ლანდშაფტურ არქიტექტურაში“ და „ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი“,** რომლის ფარგლებში სტუდენტი იკვლევს ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების გეოგრაფიული და სტილისტური მახასიათებლების ფარგლებში მათი განვითარების ძირითად მახასიათებლებს. სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების დაგეგმარებისა და გამწვანების ძირითად მახასიატთებლებს. ეპოქების ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტების გეოგრაფიული და სტილისტური მახასიათებლებს და მათი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორებს; ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფების მიდრეკილებებს. არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკში არის კურსი **„ ზონალური ნიადაგმცოდნეობა“ და „სასოფლო-სამეურნეო კულტურები მწვანე მშენებლობაში“**რომლის ჯგუფს არჩევითი დიცსიპლინები ქმნიან, გათვალისწინებულია ძირითადად იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც არ ექნებათ საბაზისო აგრარული განათლება. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც პროგრამის სტუდენტები წარადგენენ თავიანთ ნაშრომებს. სამაგისტრო პროგრამის თავისებურება ისაა, რომ სპეციალობის სასწავლო კურსების

აბსოლუტური უმრავლესობა პრაქტიკული, სახელოვნებო/შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, სწავლების ფორმატი და მეთოდები შერჩეულია ამ მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად. პროგრამაში სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. ამდენად, კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული პრაქტიკის კომპონენტს, რომლის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში პრაქტიკა გაიარონ შესაბამისი სფეროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში. უმაღლესი სასწავლო დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების სხვადასხვა პროექტებში ჩართულობას, როგორიცაა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფესტივალები, გამოფენები, კონკურსები. თუმცა ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე, პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია დაწესებულებამ აქტიურად იმუშაოს ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, გაძლიერდეს მუშაობა ინტერნაციონალიზაციის კუთხით და ამ მიზნით შემუშავდეს ეფექტური აქტივობები. • სასურველია გაცვლითი პრაქტიკა უნივერსიტეტის პარტნიორ უცხოურ სასწავლებლებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან
2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის

შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
• **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი** საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდი, ანალიზი და სხვ. გამოყენებულია ასევე საშინაო დავალებები, პორტფოლიოს შედგენა, მოხსენების მომზადება კონფერენციაზე ან პრეზენტაციაზე წარსადგენად. უნივერსიტეტში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ან საწარმოების ბაზაზე განხორციელებული პრაქტიკის დროს აქტიურად გამოიყენება ლაბორატორიული (კომპიუტერული სიმულაციები) და პრაქტიკული (ადგილზე პლენერი - ტერიტორიების კეთილმოწყობა) სამუშაოს ჩატარების მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდები აპრობირებულია. სპეციალობის კურსებში ნაწილობრივ გადასახედია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია კრეატიული კუთხით, დასახვეწია იდეიდან კონცეფციამდე და მზა პროექტამდე მისვლის მეთოდოლოგიური ასპექტები (კონცეფცია, დიზაინერულ/პროექციული აზროვნება, ინსპირაცია). კონცეპტუალური დიზაინი, ფოტოგრაფია, აგმენტური და ვირტუალური რეალობა და ა.შ. ზოგადად პროგრამას სჭირდება გათანამედროვება აგრეთვე სწავლების სტუდიური ფორმით, რაც გაზრდის შემოქმედებითი უნარების გამომუშავების საშუალებას სტუდენტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: • სპეციალობის კურსებში ნაწილობრივ გადასახედია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია, დასახვეწია იდეიდან კონცეფციამდე და მზა ნამუშევრამდე მისვლის მეთოდოლოგიური ასპექტები (კონცეფცია, დიზაინერული აზროვნება, ინსპირაცია). სწავლების სტუდიური ფორმა ამას ხელს შეუწყობს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) – „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის და ინტერვიუების თანახმად სტუდენტების შეფასება ხდება ხუთი სახის დადებითი ((A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა, (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა, (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა, (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა, (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა) და ორი სახის უარყოფითი ((FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა და (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები) შეფასებით. (FX) ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ხოლო (F) ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არა ნაკლებ 18 ქულას. აქტივობა ითვალისწინებს სტუდენტის ყოველკვირეულ შეფასებას პრაქტიკულ მეცადინეობებზე, შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით. შუალედური და დასკვნითი გამოცდა ტარდება ფორმალიზებული წესით სწავლების მერვე და მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე კვირას, რომელიც გულისხმობს საგამოცდო ცენტრის მიერ გამოცდის ჩატარებას. გამოცდის ფორმას (წერა, ტესტირება საგამოცდო ცენტრში) წყვეტს სილაბუსის ავტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს მიღებული ქულა და მოითხოვოს შეფასების გადახედვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში, რომელიც ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას და ორი სახის უარყოფით შეფასებას.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება აქტივობის, შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას; დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 15 ქულას. უზრუნველყოფილია შეფასების შედეგების დროული გაცნობა და სტუდენტი იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგის შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა • სასწავლო კურსების სილაბუსები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან • ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ სისტემატურად და დროულად თავისი პროფილის განსაზღვრისთვის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის და თავისი მიღწევების გასაუმჯობესებლად ყველა საჭირო ინფორმაცია. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შიდა ელექტრონული ფოსტის სისტემა; (კორპორატიული ელექტრონული ფოსტა) არსებობს ე.წ. ATSUNEWS მობილური აპლიკაცია; - რაც არ იყო წინასწარ მოწოდებულ დოკუმენტებში ან თვითშეფასებაში აღნიშნული და უნდა ჩაითვალოს, როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიგნება, რომელიც იმსახურებს ყურადღებას და უნდა გამოიყოს, როგორც საუკეთესო სამაგალითო პრაქტიკა. უნივერსიტეტში არსებობს საკმაოდ მოქნილი და დახვეწილი სტუდენტური სერვისები, რაც შეთავსებულია ბიბლიოთეკის სერვისებთანაც და უმარტივებს სტუდენტს მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით. ეს სერვისები დეტალურადაა გაწერილი თვითშეფასებაშიც - საუბარია: სტუდენტთა განცხადებების ელექტრონულად მოძრაობის ორგანიზებაზე, სტუდენტთა კურსდამთავრებულთა ქსელზე, და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ეს ხდება სტუდენტური სერვისების წარმომადგენლებთან პირისპირ ურთიერთობით, მათ შორის სტუდენტურ ომბუდსმენთან შეხვედრებით, აგრეთვე აწსუ-ს მიერ სპეციალურად დამზადებული ელექტრონული საინფორმაციო smart touch screen ის დახმრებითაც, რაც ითავსებს ყველა სტუდენტური ინფორმირების სერვისს, და ამარტივებს: წიგნების დაჯავშნას ბიბლიოთეკაში, განცხადებების ატვირთვას, დასკანერებით დოკუმენტების მიბმას და ა.შ. კონკრეტული სერვისი აგრეთვე სტუდენტური სერვისების ნაწილია და ნამდვილად საუკეთესო პრაქტიკად უნდა იყოს აღნიშნული. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ არსებობს საკონსულტაციო საათები, სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერ დროს მიიღონ დახმარება და კონსულტაცია მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. დადასტურდა ასევე, რომ მათ აქვთ ინფორმაცია შეფასების ქულის გასაჩივრების პროცედურის შესახებ. პროგრამაში არსებული საგანი - სამეცნიერო წერა - არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებულობას ყველა აკადემიურ თუ სამეცნიერო საკითხთან დაკავშირებით. ამ სილაბუსის მიხედვით სტუდენტები ეცნობიან, ყველა სხვა სილაბუსების სტრუქტურას, სწავლობენ სწავლების მეთოდოლოგიებს და როგორ აირიდონ პლაგიატი. სტუდენტები ეცნობიან აკადემიური წერის მანერებს. სხვადასხვა ციტირებების მექანიზმებს. წერენ მოკლე ნაშრომებს და ერთმანეთის ნაშრომების შეფასებით სწავლობენ პლაგიატის აღმოფხვრას. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ხდება პლაგიატის ნაშრომების ტიპიზაცია და დაარქივება Moodle-ის პლატფორმაზე, (moodle - ის პლატფორმასთან დაკავშირებით მოწოდებულ დოკუმენტაციაში არაფერი იყო ნახსენები) შემდგომში სტუდენტები ეცნობიან მათ და ტიპიური ნაშრომების მაგალითზე სწავლობენ პლაგიატის პრობლემებს და რეცენზირებას. პერსონალის განმარტებით უნივერსიტეტი ორიენტირებულია სტუდენტებთან თანამშრომლობით პლაგიატის პრევენციაზე და არა კონკრეტულად პლაგიატის აღმოჩენაზე და დასჯის მექანიზმებზე, რასაც ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება, თუმცა პლაგიატის

აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტში მაინც არსებობს „სადამსჯელო“ ზომების მიღების პრაქტიკაც. პირველი პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი უბრალოდ არ ფასდება და სტუდენტს ეძლევა საშუალება შემდეგ სემესტრსი გაიაროს აღნიშნული საგანი ან სილაბუსის მიხედვით თავიდან ისწავლოს იგი. სხვა საკითხია თუ რის საფუძველზე მოხდა ამ პლაგიატის აღმოჩენა - აქედან გამომდინარე თუ პლაგიატი იყო გამიზნული - მაგ: სტუდენტმა გადაწერა მთელი აკადემიური ნაშრომი - მაშინ უფრო მკაცრია ზომები, ანუ შეილება მისი ნაშრომი არ შეფასდეს და შემდეგ სემესტრში გადავადდეს. თუ პლაგიატი არის შემთხვევითი ან უმნიშვნელოდ მცირე - მაგ: ერთი ან ორი წინადადება მთელ ნაშრომში,(რაც შეილება მოხდეს გაუთვიცნობიერებელად), სტუდენტს საშუალება ეძლევა დააკორექტიროს და შესაბამისი ციტირების გამოყენების შემდეგ ნაშრომი ჩაბარდება. უნივერსიტეტში არსებობს რეცენზირების მექანიზმიც. სამაგისტრო ნაშრომი გადაეცემა ან სასწავლებლის გარეთ მოღვაწე პროფესორს, ან უნივერსიტეტშივე აკადემიური პერსონალიდან შესაფერის პროფესიონალს, რომელიც ახდენს ნაშრომის რეცენზირებას. ყოველი პლაგიატის აღმოჩენის შედეგად უნივერსიტეტი იწყებს სტუდენტების გადამზადებას და მათთან მუშაობას. სილაბუსი „სამეცნიერო წერა“ ექსპერტთა აზრით საუკეთესო მიგნებად ჩაითვლებოდა, რომ არა კონკრეტული გარემოება - ექსპერტებმა გადახედეს მოწოდებულ სტუდენტურ ნაშრომებს (მათ შორის იმ სტუდენტების, რომლებიც იყვნენ ვიზიტის დროს გასაუბრებაზე), სადაც ნათლად იკითხებოდა აკადემიური/სამეცნიერო წერის მაღალი დონე, გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პლაგიატის მნიშვნელობა ყველა სტუდენტს გააზრებული არ აქვს. ბევრმა, როგორც სტუდენტმა ისე კურსდამთავრებულმა ვერ გასცა ზოგიერთ პლაგიატთან დაკავშირებულ შეკითხვას პასუხი.

ექსპერტები უნივერსიტეტს რეკომენდაციას უწევენ, რომ საგნის „სამეცნიერო წერა“- განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა სილაბუსის მიმართებით და თუ უნივერსიტეტი ამ გზას აირჩევს, საგანი „სამეცნიერო წერა“ ნამდვილად დაიკავებს ადგილს საუკეთესო მიგნებებს შორის.

ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთი სუსტი მხარეა, სტუდენტები ღებულობენ მონაწილეობას უმეტეს ადგილობრივ კონფერენციებში და გამოხატავენ მზაობას ჩაერთონ უცხოურ ღონისძიებებშიც, პრობლემას წარმოადგენს უცხოელი პარტნორი უნივერსიტეტების სიმცირე. ამას აღნიშნავენ თვითონ სტუდენტებიც, და პერსონალიც. ასეთი კონფერენციების მრავლად არსებობის შემთხვევაში ექსპერტებს ეჭვი არ ეპარებათ რომ სტუდენტები არათუ დროულად იქნებიან ინფორმირებულები, არამედ აქტიურად ჩართულები ყველა შესაბამის კონფერენციაში. გასაუბრებების დროს დადგინდა რომ ზოგიერთი სტუდენტისთვის უცხო ენა პრობლემას არ წარმოადგენს, ზოგიერთი უფრო გერმანულზეა ორიენტირებული, ზოგისთვის ინგლისურიც არაა პრობლემა. მათი მოტივაცია ნათლად ჩანდა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად მართავს ღონისძიებებს როგორც უნივერსიტეტის, ასევე ქალაქის მასშტაბით. სტუდენტები თავისუფლად იღებენ მონაწილეობას თვითმმართველობის არჩევნებში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან, დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

- მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
- https://atsu.edu.ge

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სტუდენტებთან მუშაობა პლაგიატის მიმართულებით; სილაბუსი „სამეცნიერო წერა“- ს ფარგლებში და დარწმუნდეს სტუდენტების ცოდნაში, რაც შეეხება პლაგიატს და მისი აღმოფხვრის მექანიზმებს.
- უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს სტუდენტების ჩართულობაზე საერთაშორისო დონის კონფერენციებში და ხელი შეუწყოს მათ ინტერნაციონალიზაციას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- სილაბუსი „სამეცნიერო წერა“.
- ATSUNEWS - ინფორმაციის მიღების მობილური აპლიკაცია.
- ინფორმაციის გაცვლის Smart Touch Screen მონიტორები რომელიც ამარტივებს შიდა „განცხადებების ელექტრონულად მოძრაობის ორგანიზების“ სისტემას, დოკუმენტების მიბმას სკანირებით, ბიბლიოთეკასთან კავშირს და მრავალ სხვას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

მიმდინარე სამაგისტრო პროგრამა „ლანდშაფტური არქიტექტურა“ დიდი ისტორიისა და ახლანდელი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც პროგრამის გაუმჯობესებაზე ზრუნავს, თუმცა მასზე ძალიან მცირერიცხოვანი მიღება ხორციელდება (ერთი ან ორი სტუდენტი წელიწადში). მაგისტრანტებს ემსახურებათ 18 აკადემიური პერსონალი, მათგან 4 არის მათი უშუალო სამეცნიერო/აკადემიური ხელმძღვანელი. ისინი არიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ დარგის მიმართულებით დიდი კვლევითი/პრაქტიკული გამოცდილება. მათი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სამაგისტრო დიპლომი. ვიზიტის დროს გადმოგვეცა სადიპლომო ნაშრომები, დიპლომის თემების ნუსხა, მარეგულირებელი დოკუმენტი. სადიპლომო ნამუშევრების დათვალიერებამ მაღალი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც პოლიგრაფიული თვალსაზრისით, (დაკაბადონება, ფორმატი, გრაფიკული გამომსახველობის სიზუსტე) ასევე ტექსტის გაფორმების და გადმოცემის მხატვრული სახე. პროგრამაზე მაგისტრანტების მიღების სიმცირე არ წარმოადგენს პრობლემას უნივერსიტეტისა და კერძოდ ფაკულტეტისათვის, ვინაიდან, ერთის მხრივ უზრუნველყოფილია სტუდენტების ხელმძღვანელებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა, მეორეს მხრივ ეს აკადემიური

პერსონალი ახორციელებს სწავლებას ფაკულტეტზე საბაკალავრო minor-ის მიმართულებით, სადაც კონკრეტული პროგრამა საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს. მიუხედავად პროგრამაზე არსებული საკმაოდ სრულყოფილი ინფორმაციის გაცვლის მექანიზმებისა, პროგრამაზე გაწერილია საკონსულტაციო საათები, ყოველ სტუდენტს აქვს საშუალება ინდივიდუალურად იმუშაოს ხელმძღვანელთან მისთვის ხელსაყრელ დროს, რადგან ყოველი მაგისტრის მუშაობა ხელმძღვანელთან ატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციის ფორმას და ისინი ხშირად ჩართულები არიან რეალურ პროექტებში რეგიონის და ქალაქის მასშტაბით განსახორციელებელ სამუშაოებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • შეხვედრა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის კოორდინატორთან, დეკანთან, დამსაქმებლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. • მატერიალური ტექნიკური ბაზის დათვალიერება. • https://atsu.edu.ge
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთამიღწევები, მათთანინდივიდუალურიმუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „ლანდშაფტური არქიტექტურა“- განხორციელებაში ჩართულნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამაში ჩართულია 1 პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, (აქედან 1 აფილირებული პროფესორი) 3 პოსტდოქტორანტი. მათი პირადი საქმეები, ბიოგრაფიები და ნაშრომები აგრეთვე პროფესიული საქმიანობა ადასტურებს მათ კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ პროგრამას არ ჰყავს მოწვეული პედაგოგები, რაც დადასტურდა ვიზიტის დროსაც. ადმინისტრაციული პერსონალი შედგება: • ფაკულტეტის / სკოლის დეკანი. • სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი - რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობს სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომებს, და შესაფერისი სილაბუსის ავტორია. • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დეკანი უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით განახორციელებს ფაკულტეტის მართვას; ხოლო პროგრამების განვითარებაში, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაში, საკადრო პოლიტიკის წარმოებაში და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღებაში ადმინისტრაციულ პერსონალთან ერთად ჩართულია სკოლის/ფაკულტეტის საბჭო. ვიზიტის განხორციელებისას ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გარკვეული შეკითხვები პროგრამაზე ჩარიცხული ორი მაგისტრანტისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით, რომ მენეჯმენტის თვალსაზრისით ეს არამომგებიანია, რადგან აძვირებს პროგრამას ფინანსური თვალსაზრისით, რაზეც პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშნული პროგრამა სარგებლობს დიდი პოპულარობით, როგორც minor-ი სხვა პროგრამებისთვის და სტუდენტების რაოდენობა შესაძლოა 30 კაცამდე გაიზარდოს კონკრეტული ლექციის ფარგლებში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში არ ფიგურირებენ ურბანული და/ან არქიტექტურული დაგეგმარების/დაპროექტების სპეციალისტები. **სასურველია დაბალანსდეს განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა მიმართულების სპეციფიკის გათვალისწინებით,** რამაც სრულად უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული

სასწავლო და შემოქმედებითი პროცესის წარმართვა; სივრცის ორგანიზაციის ამოცანების გადაწყვეტა გეგმარებითი და შემოქმედებითი უნარებით უზრუნველყოფს საშემსრულებლო საქმიანობასა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას, რაც პროგრამის განმახორციელებლების კომპეტენციას აღემატება. მოქმედ მაგისტრანტ სტუდენტებთან, აგრეთვე კურსდამთავრებულებთან შეხვედრამ ცხადყო პროგრამის ხელმძღვანელის, სამაგისტრო ნაშრომების სხვა ხელმძღვანელების ავტორიტეტი სტუდენტებში და მათი მოტივაცია ამ პროგრამაზე სწავლების და ჩაბარების.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამუშაო შეხვედრები • პერსონალის პირადი საქმეები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუს შედეგები • საკვალიფიკაციო მოთხოვნები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩაერთონ ურბანული დაგეგმარების სპეციალისტები - ლანდშაფტის არქიტექტორი ან არქიტექტორი, რაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობას. •
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პროგრამის წარმატებისა და განვითარებისათვის, სასურველია დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ადგილობრივი და საერთშორისო გამოცდილების გაზიარება ურთიერთთანამშრომლობის გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან
4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციზე დაყრდნობით, აწსუ-ში რეგულარულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისა და სასწავლო პროცესის შდეგების მონიტორინგი. პროცესი მოიცავს, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას და შედეგების ანალიზს. მონიტორინგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პერსონალის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარების განვითარებისა და სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებას ძირითადად ემსახურება ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტის ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულების სპეციალისტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში. გამოკითხვებისა და შეფასების შესაბამისი ანალიზის შედეგად ხორციელდება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და პროგრამული განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოქმედებები. 2016 წლიდან პროგრამის მომსახურე აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება ურთიერთდასწრების გზითაც, უნივერსიტეტში შემუშავებულია „ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის პოლიტიკა“, რომლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შეექმნას გარემო ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საგანამანათლებლო პროგრამებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს, სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე.

ვიზიტის დროს ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათ მიერ აკადემიური, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი და სხვა საქმიანობის განხორციელებას, რისთვისაც იყენებს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს, **თუმცა საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს უცხო ენის მოსამზადებელ კურსს რათა უზრუნველყონ პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალთან გასაუბრება
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სფეროს ცვალებად შემოქმედებით სახელოვნებო გარემოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისობა, საჭიროა შემუშავდეს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით აკადემიური პერსონალისთვის ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები, მასტერ-კლასები, პარტნიორული კავშირები.
- ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საჭიროებები (ენის კურსები,

გაცვლითი საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები და სხვა) • გაუმჯობესდეს პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ინტერნაციონალიზაციის პროცესებთან დაკავშირებული აქტივობების დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იქნას ინდივიდუალური საჭიროებები (ტრენინგები, ენის კურსები, გაცვლითი საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები და სხვა), რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და პროგრამის განვითარებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან
4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. პროგრამა ხორციელდება აწსუ-ს მე-11 კორპუსში. ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყოფილია აგრარული ფაკულტეტისთვის სასურველია განახლდეს/გარემონტდეს (ფინანსების არსებობის შემთხვევაში), თუმცა ეს არ უნდა ჩაითვალოს, როგორც სასწავლო პროცესის განხორციელების შემაფერხებელი ფაქტორი, რადგან საჭირო პირობები მინიმალურად დაცულია და ფაკულტეტს გადალახული აქვს ზღვარი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს სურვილის შემთხვევაში, შეუძლიათ გამოიყენონ ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სივრცეები, რომლებიც აწსუ - ის ბიბლიოთეკის და ადმინისტრაციის შენობაშია განთავსებული, მით უფრო, რომ პროგრამას ძალიან ცოტა სტუდენტი ჰყავს. ლანდშაფტური არქიტექტურის მიმართულებით ფაკულტეტზე კვლევისათვის პირობა არის შექმნილი, ეს არის კომპიუტერული კლასი 14 კომპიუტერით, აღჭურვილი ბაღ-პარკების პროექტირების 3D პროგრამებით („Наш сад омега 6.0“, „Наш сад Кристалл версия 10.0“, ასევე ArchiCAD, ”Photo Land Designer 2” და Photoshop. ასევე არის შავთეთრი და ფერადი პრინტერები, 2 პროექტორი, 1 ფოტოაპარატი, ლაზერული შორმზომი, საზომი ბორბალი და სხვა მოწყობილობები, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს გარემოს აგეგმვა, მცენარეული საფარის შესწავლა და გამწვანება. მცენარეთა აგროტექნიკური საკითხების შესწავლა-დამუშავება ხდება პარტნიორი

ორგანიზაციის ტერიტორიაზე (ქ. ქუთაისის დეკორაციულ მცენარეთა სანერგე ი/ს „ნემო კაკუშაძე“), რომელიც კვლევებისათვის კარგ პირობებს ქმნის.

თვითშეფასების ანგარიშის და ადგილზე გაცნობის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამით გათვალისწინებული ციფრულ-ტექნოლოგიური საშუალებები, როგორც კომპიუტერები ასევე გრაფიკული პროგრამები, სასწავლო პროცესისთვის დამაკმაყოფილებელია, თუმცა, მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში განახლებული კომპ.პროგრამების ვერსიების გამოყენების შემთხვევაში (ისეთი როგორიცაა უახლესი 3D max , AutoCad და სხვა საჭირო სარენდერო პროგრამები), სავალდებულო იქნება ახალი კომპიუტერების შეძენა. **შემოქმედებითი და სივრცითი უნარების გასაუმჯობესებლად/უზრუნველსაყოფად საჭიროა სტუდიური სწავლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს საპროექტო/არქიტექტურული ბიუროს და სახელოვნებო სივრცის მოწყობას, აღჭურვას ციფრული (დიჯიტაიზერი) და ტრადიციული (კულმანი) პლანშეტებით.**

2018 წლიდან უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის მოწყობილი ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული ტექნიკური აღჭურვილობა: სტუდიები და სახელოსნოები, საგამოფენო სივრცეები და ა.შ. აწსუ-ს ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნებს და ელექტრონულ რესურსებს, საერთაშორისო ბიბლიოთეკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზას (EBSCO, JSTORE, Science direct, Cambridge University Press) თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზის გამოყენების მაჩვენებლი 8 394-ია მხოლოდ EBSCO-დან (31.01.2018-თვის). სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია კომპიუტერებით და უსადენო ინტერენტით. სტუდენტენს აქვთ საჭირო ლიტერატურის გამრავლებისა და სკანირების საშუალება. ბიბლიოთეკის გამოყენების წესები და ინსტრუქციები მოცემულია აწსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ხელმისაწვდომია ინსტრუქციები და ელ-კატალოგი ინგლისურ ენაზე. ელ-კატალოგისა და ელ-ბიბლიოთეკის გამოყენების გზამკვლევი ქართულ ენაზეა. ბიბლიოთეკის რესურსები ახლდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ბიბლიოთეკა ღიაა ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 9:00-დან 19:00- მდე. საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკას აქვს უფასო წვდომა EBSCO-ზე, Cambridge Publishing, BioOne, ScienceDirect and Scopus-ის მონაცემთა ბაზებზე უნივერსიტეტის უნიფიცირებული კომპიუტერული ქსელის საშუალებით; HINARI, AGORA, OARE, and ARDI-ის გამოყენების შემთხვევაში, საჭიროა კოდური სიტყვა. სამკითხველო დარბაზები აღჭურვილია სტაციონარული და უსადენო ინტერენეტით, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი სივრცეებით, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

თვითშეფასებაში ვკითხულობთ, რომ პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების აზრით, თეორიული, ანალიტიკური, შემოქმედებითი და კვლევითი უნარების განვითარებისათვის, სასურველია, გამდიდრდეს ბიბლიოთეკის რესურსი დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სპეციალური სასწავლო და საინფორმაციო ლიტერატურით, საინფორმაციო-ანალიტიკური პერიოდული გამოცემებით, რომლებშიც ასახული იქნება

თანამედროვე ტენდენციები, სიახლეები, მიმართულებები ლანდშაფტური არქიტექტურის და დიზაინის სფეროში. პროგრამისა და პროგრამის თვითშეფასების ანალიზის, ინტერვიუებისა და წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლამ ისევე როგორც ვიზიტის დროს ბიბლიოთეკის დათვალიერებამ, ცხადყო, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი სასწავლო მასალები და ლიტერატურა ხელმისაწვდომია მაგისტრატურის სტუდენტებისთვის. ყოველ მათგანს აქვს საშუალება ისარგებლოს ბიბლიოთეკით და აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული რესურსებით. აწსუ-ს ვებ-გვერდს აქვს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციები და მოიცავს ინფორმაციას აქტივობის შესახებ; დაწესებულების სტრუქტურის, მმართველი ორგანოებისა და მათი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაციის შესახებ, ფაკულტეტების შესახებ; სამეცნიეროკვლევითი ერთეულების და მათი საქმიანობის შესახებ; დაწესებულების პერსონალის შესახებ; საგანმანათლებლო პროგრამებზე; სამეცნიერო-კვლევით აქტივობებზე; საერთაშორისო ურთიერთობებზე; ბიბლიოთეკაზე და სხვა. ვებ-გვერდზე რეგულარულად განახლებადია ინფორმაცია მიმდინარე პროექტებზე, კონკურსებზე, სხვა საჯარო, კულტურულ, სპორტულ და შემეცნებით აქტივობებზე. ვებგვერდი მომხმარებელს აწვდის ამომწურავ საკონტაქტო ინფორმაციას და ა.შ. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ,რაც დადასტურდა შეხვედრების დროს ინტერვიუებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ვიზიტის დროს ადგილზე დათვალიერება • სამუშაო შეხვედრები • ინტერვიუს შედეგები • თვითშეფასება • საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსები
რეკომენდაციები: ▪ შემოქმედებითი და სივრცითი უნარების გასაუმჯობესებლად/უზრუნველსაყოფად საჭიროა სტუდიური სწავლების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს საპროექტო/არქიტექტურული ბიუროს და სახელოვნებო სივრცის მოწყობას, აღჭურვას ციფრული (დიჯიტაიზერი) და ტრადიციული (კულმანი) პლანშეტებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საბიბლიოთეკო რესურსების განახლება სფეროს /დარგის ახალი საგანმანათლებლო ლიტერატურით. • ნაგებობა და ინფრასტრუქტურა, რომელიც გამოყოფილია აგრარული ფაკულტეტისთვის სასურველია განახლდეს/გარემონტდეს (ფინანსების არსებობის შემთხვევაში),
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლანდშაფტური არქიტექტურის პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის საფაკულტეტო ბიუჯეტიდან, რომელიც მიბმულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტს. საუნივერსიტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას. ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს აღინიშნა ამ ფაკულტეტის მრავალი ძლიერი მხარე, მისი ისტორია, წარსული, აგრეთვე ის სირთულეები რაც გაიარეს პროგრამის განმახორციელებლებმა, ამდენად ადმინისტრაცია ცალსახად მფარველობს ფაკულტეტს და დარგს, თუმცა საჭიროა მეტი ძალისხმევა საზოგადოებაში პოპულარიზაციის თვალსაზრისით. უკვე აღვნიშნეთ, პროგრამის ფინანსური დაუბალანსებლობა მცირერიცხოვანი სტუდენტებისა და მრავალრიცხოვანი აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დარგის ექსკლუზივს, განმახორციელებლების მდიდარ და ღრმა კვალიფიკაციას და მზარდ მოთხოვნას, ამ მხრივ პროგრამა მხარდაჭერას საჭიროებს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყოველივეს და განხორციელებისათვის საჭირო აქტივობებს ფინანსურად უზრუნველყოფს. მიუხედავად ზემოთქმულისა, საჭიროდ მიგვაჩნია სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი ასახავდეს პროგრამის მონაწილე პროფესურისა და სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის, კონფერენციების, შეხვედრების ორგანიზაციის და სხვ. ხარჯებს. აქვე სასურველია გათვალისწინებული იქნას წარჩინებულ სტუდენტთა ფინანსური დახმარება - ვინაიდან ფაკულტეტზე სტუდენტები ძალიან მცირედი რაოდენობით არიან წარმოდგენილები, ფინანსური უზრუნველყოფა შეიძლება გახდეს დიდი მოტივატორი და ხელი შეუწყოს კონკრეტული პროგრამის პოპულარიზაციას. აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები ძირითადად დასაქმებულები არიან ქუთაისის გარეთ - ზოგი ბათუმში, ფოთში და ა.შ. - მატერიალური ხელშეწყობა მხოლოდ გააძლიერებს ამ პროგრამის პოპულარობას. სასურველია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვითგამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას, რაც უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას

მტკიცებულებები/ინდიკატორები • დაფინანსების წყაროები • ბხსუ-ს ბიუჯეტი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, ფინანსური საჭიროებების ალტერნატიული წყაროებისთვის სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მოიცავს თვითგამომუშავებული შემოსავლებსა და ფინანსების მოზიდვას, რაც უზრუნველყოფს უფრო გრძელვადიან ფინანსურ სტაბილურობას
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრეს ურსებითუზრ უნველყოფა		✓		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“, რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება და ამ სამსახურის მიზნებს წარმოადგენს: უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფა; უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით განსაზღვრული დონის ხარისხის უზრუნველყოფა; განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობის მიღწევის მიზნით; უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების რეგიონულ და ეროვნულ დონეზე აღიარება და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის ამაღლება; უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების ინტერნაციონალიზაციისა და დაინტერესებულ მხარეებთან ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას სამი ძირითადი მიმართულებით: I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა II. კვლევის განვითარების პოლიტიკა III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა.

შემუშავებულია სათანადო პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განსახორციელებლად:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;
2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;
3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

„ლანდშაფტური არქიტექტურის“ სამაგისტრო პროგრამას სრულად აქვს გავლილი აღნიშნული პროცედურები.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა მოიცავს ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ლექციებზე ურთიერთდასწრება,როგორც სააუდიტორიო მუშაობის შეფასების ქმედითი და კოლეგიალური აქტივობა. ამასთან, ურთიერთდასწრება და შეფასება საშუალებას აძლევს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, საგანამანათლებლო პროგრამებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს სისტემატურად მიიღონ ინფორმაცია უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების არსებულ მდგომარეობაზე, მათ დადებით და უარყოფით მხარეებზე. ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს უწყობს სწავლა/სწავლების პროცესის ეფექტურობის ამაღლებას და უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო მოთხოვნების გაანალიზების საფუძველზე სასწავლო პროცესის სრულყოფისა და მისი გაუმჯობესების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

ხარისხის უზრუნველყოფის აპრობირებულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს :

- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა,
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა,
- თანამშრომლობა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან პროგრამების SWOT ანალიზის შესრულებაში;
- პერიოდული ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან სასწავლო კურსის პროგრამების შედგენის საკითხებზე,
- სტუდენტთა წინადადებებისა და მოსაზრებების გაზიარება, რომელთაც ისინი აფიქსირებენ კურსის დასრულების შემდეგ.
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და შედეგების განხილვა დეპარტამენტში და ფაკულტეტის საბჭოზე. აკადემიური მოსწრების ანალიზის პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.

უნივერსიტეტში ხორციელდება ე.წ. შიდა „ორმაგი ექსპერტიზის“ პროცედურა, რომელიც გულისხმობს შემუშავებული პროგრამის შეფასებას როგორც განმახორციელებელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ. აღნიშნული შეფასების პროცესში პროგრამის გაუმჯობესებისათვის მიღებული რეკომენდაციები და შენიშვნები განიხილება პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მიერ და აისახება პროგრამის კურიკულუმში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- უნივერსიტეტში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასების განსხვავებული პრაქტიკა, კერძოდ, პროგრამა გადის ე. წ. „ორმაგ შეფასებას“, რომელშიც შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად მონაწილეობს სხვა ფაკულტეტიდან შერჩეული დარგის სპეციალისტი, აკადემიური პერსონალი. ამგვარი პრაქტიკა კარგად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას ხარისხის შეფასების შიდა სისტემაში და ზოგადად, ხარისხის კულტურის ამაღლებას უწყობს ხელს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების მექანიზმს წარმოადგენს უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესები. პროგრამის თანდართულ საბუთებში წარმოდგენილი არ იყო დამატებითი გარე შეფასების დოკუმენტი, თუმცა თვითშეფასების ანგარიშით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი მიმართავს გარე შეფასების პროცედურასაც; კერძოდ, წარმოდგენილ პროგრამას გავლილი აქვს ამგვარი შეფასება, რომელიც ჩაატარა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტად შერჩეულმა მაპროფილებელი დარგის აკადემიურმა დოქტორმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა. პროგრამას მიღებული აქვს დადებითი შეფასება. ამდენად, უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების მექანიზმს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია • ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა და მისი განხორციელების კონკრეტული მექანიზმები; კერძოდ, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგსა და ანალიზს ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი (მათ შორის გაუსის განაწილების) დ 39 ხარისხობრივი მაჩვენებლების (პროგრამის სწავლის შედეგების) მიხედვით. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. ანალიზის შედეგები იგზავნება პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. ძირითადი დაინტერესებული მხარეების (სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გამოკითხვის პროცესში ჩართული არიან სამსახურის წარმომადგენლები, პროგრამის ხელმძღვანელები. გამოკითხვის შედეგების გაანალიზების შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიღებულ შედეგებს გასაცნობად უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. ამდენად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მწყობრი სისტემა, რომელშიც ჩართული არიან აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, სხვა დაინტერესებული მხარეები. მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ • ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. • სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები(კითხვარები).
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არარის შესაბამისობაშიმოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისხარ ისხისგანვითა რებისშესაძლე ბლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ლანდშაფტური არქიტექტურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამი სმიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამისათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლებისრესურსებითუ ზრუნველყოფა		✓		
5. სწავლებისხარისხისგანვ ითარებისშესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნანა იაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

თინათინ ხიმშიაშვილი 

გიორგი ქურდიანი